ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 64

ქ. თბილისი **„ 2„ „ მაისი “, 2019 წელი**

ერთი მხრივ **შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“** ს/კ 243123455 (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **ავთანდილ ვანაძის** და მეორეს მხრივ შპს „ლ.გ.ვ.“ ს/კ 204455936 (შემდგომში _ მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის ვასილ ბასიშვილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №13-ის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი და ობიექტი**

1.1 ხელშეკრულების საგანია საბიუჯეტო სახსრებით (პროგრამული დაფინანსება) სარკის CPV39299300, რეზინის ხელთათმანი CPV18424000, საწმენდი ტილოების CPV39525800 და სამუშაო ხელთათმანების CPV18140000 შესყიდვა.

2. **ხელშეკრულების ღირებულება**

2.1.ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 181,60 (ასოთხმოცდაერთი ლარი და 60 თეთრი) ლარი;

2,2. შესყიდვის ობიექტის ერთეულის და თოთოეული CPVკოდის ღირებულებებია:

2.2.1 CPV39299300, **სარკე - 3 ცალი*4,2 ლარი-12,60(თორმეტი ლარი და 60 თეთრი);**

2,2,2. CPV18424000, **რეზინის ხელთათმანი- 50 წყვილი*1,2 ლარი-ღირებულებაა -60,00 ლარი;**

2,2,3. CPV18140000 სამუშაო ხელთათმანი -**30 წყვილი *1,8 ლარი-54,00 (ორმოცდათოთხმეტი) ლარი.**

2,2,4. CPV39525800 -ტილოები -10 წცალი*5,5 ლარი-55,00(ორმოცდათხუთმეტი) ლარი;

.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს (ტრანსპორტირების გარდა) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები და ადგილი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს შემსყიდველი საკუთარი ხარჯებით.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან **10 კალენდარული დღის ვადაში** უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

4,4. მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, რუსთაველის გზატკეცილი 40ა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 <u>მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (დღგ-ს გადამხდელი ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურა), წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.</u>

5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია **შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი**ს“ დებიანის ობიექტის მომმარაგებელი აივენგო ხუციშვილი. კონტროლის განმახორციელებელი პირის ფუნქციაა შეამოწმოს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ხარისხის, სპეციფიკაციის და რაოდენობის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ უკანასკნელის მიერ საქონლის მიწოდების შემდეგ მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 25 (ოცდახუთი) სამუშაო დღისა.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას
8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
8.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს შეიძლება დაეკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების ან შეუსრულებელი ნაწილის 10%-ის ოდენობით იმისდა მიხედვით მთლიანად არის ვალდებულება შეუსრულებელი თუ ნაწილობრივ.
8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ს.
8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.
9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **2019 წლის 30 ივნიის ჩათვლით.**

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი
10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმოთ.
10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი
11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს

წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირები.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების ობიექტის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14,6. ხელშეკრულება დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერებით და ან ელექტრონული შტამპით.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“	**შპს „ლ.გ.ვ.“**
ს/კოდი: 243123455	ს/კოდი: 204455936
იურ. მის.: ქ.თბილისი ნუცუბიძეს 14 ბ	მის: რუსთავის გზატკეცილი 40ა
ტელ.: +995 599136864;	ტელეფონი 032 2 404 303
ელ.ფოსტა ps.hosp@gmail.com	
ბანკი: ს.ს. „საქართველოს ბანკი“;	ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“;
ბანკის კოდი: BAGAGE22;	ბანკის კოდი: MIBGGE22;
ა/ა GE02BG0000000267299600;	ა/ა GE92PC0223600100011145
_____	_____
გენერალური დირექტორი	**დირექტორი**
ავთანდილ ვანაძე	**ვასილ ბასიშვილი**

PSYCHOLOGICAL HEALTH CENTER OF EAST GEORGIA LTD
Digitally signed by PSYCHOLOGICAL HEALTH CENTER OF EAST GEORGIA LTD
Date: 2019.05.03 13:10:05 +04'00'

LTD L.G.V
Digitally signed by LTD L.G.V
Date: 2019.05.03 13:22:08 +04'00'

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი **„ 2„ „მაისი“ 2019 წელი**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის თანახმად, **შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის**“ გენერალური დირექტორი ავთანდილ ვანაძე **და** ბედიანის კლინიკის მომმარაგებელი აივენგო ხუციშვილი ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების #64/02/05/2019 მიმწოდებელთან „შპს ლ.გ.ვ.“ სთან .

გენერალური დირექტორი:
ავთანდილ ვანაძე _____

მომმარაგებელი:
აივენგო ხუციშვილი _____

PSYCHOLOGICAL HEALTH CENTER OF EAST GEORGIA LTD

Digitally signed by PSYCHOLOGICAL HEALTH CENTER OF EAST GEORGIA LTD
Date: 2019.05.03 13:10:28 +04'00'

მიღება - ჩაბარების

აქტი 64

ქ. თბილისი **„ 2„ მაისი 2019 წელი**

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, **შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“**243123455, წარმოდგენილი მომმარაგებლის აივენგო ხუციშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი”), და მეორეს მხრივ **შპს „ლ.გ.ვ.“ ს/კ**204455936 წარმოდგენილი ვასილ ბასიშვილის (შემდგომში „მიმწოდებელი“) ვადასტურებთ, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების (#64, 02/05/2019) პირობების თანახმად ”მიმწოდებელმა” ”შემსყიდველს” მიაწოდა ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული რაოდენობის და სპეციფიკაციის შესაბამისად.

სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს --181,60 (ასოთხმოცდაერთი ლარი და 60 თეთრი) ლარს;
მიწოდებული საქონლის ღირებულება შეადგენს -181,60 (ასოთხმოცდაერთო ლარი და 60 თეთრი) ლარს.

“მიმწოდებელმა” მიაწოდა, „შემსყიდველმა“ ჩაიბარა და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.

„შემსყიდველი“

_____

“მიმწოდებელი”

_____

PSYCHOLOGICAL HEALTH CENTER OF EAST GEORGIA LTD
Digitally signed by PSYCHOLOGICAL HEALTH CENTER OF EAST GEORGIA LTD
Date: 2019.05.03 13:11:04 +04'00'

LTD L.G.V
Digitally signed by LTD L.G.V
Date: 2019.05.03 13:23:06 +04'00'